1 ივნისი

2023

რიგითი VIII კვირა [IV]
(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ
წმ. იუსტინე წამ.,+~165, (მ), წ

ხუთშაბათი

ზირ 42,15-25(15-26); ფს 32; მარ 10,46-52

**კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს
კათოლიკური ეკლესიის დღეობა**

ადგა და მივიდა იესოსთან მარ 10,50

იესო, დღეს მე მიხმობ. რამხელა სიყვა-
რული გამოსჭვივის შენს ხმაში! როგორც
ბრმა ბარტიმეოსი „ადგა და მივიდა“, მეც
ასე ვიქცევი: მტკიცედ განვეშორები ცუდ
ზრახვებსა და გრძნობებს და შენთან
მოვდივარ: შენ მოგენდობი, ჩემს გულში
დამარხული შენი სიტყვით ვცხოვრობ.
მეც ვიხილავ მამის სიყვარულის შუქს!

2 ივნისი

2023

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

(20.V) წმ. ღიჰსნი ზაბუღონი და სოსანა, წმ. ნინოს მშობღები (IVს.);/წმ. მაჰცეღინე და პეტჩე წამებ. +304

პარასკევი

ზირ 44,1.9-13; ფს 149; მარ 11,11-26

გქონდეთ ღმერთის რწმენა მარ 11,22

მოწაფეებს უკვირთ, როგორ აღსრულდა მათი მოძღვრის ნება: უნაყოფო მცენარე გახმა. იესოს სურს, რომ შეამჩნიონ მამის არსებობა და მისი სიყვარული, თუნდაც მცირედ ცხოვრებისეულ მოვლენებში, ამიტომაც, მოიხმობს მათ ნდობას, ამ ნდობის კონკრეტული ნიშანი კი მოყვასთა შენდობა იქნება.

3 ივნისი

2023

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

წმმ. კარლო ლვანგა და მეგ., წამ., + 1886, (მ), წ

შაბათი

ზირ 51,12-20(17-27); ფს 18; მარ 11,27-33

გმადლობ და შეგაქებ შენ, და ვაკუ-
რთხებ უფლის სახელს ზირ 51,12

„ავტორი, ძველი აღთქმის წმიდა სული, თავისი მადლიერების მიზეზს გაგვიმხელს: უფალმა მას სიბრძნის სურვილი უბოძა, რისიწყალობით მოიპოვა მან სიხარულის სიუხვე. ჭეშმარიტად სიცოცხლის წყაროა უფლის მოსაწონი საქმეების შეცნობა და მათი შესრულება! ამ გზაზე გაუძღვე შვილებს - ესაა ჭეშმარიტი გზა მათი სიყვარულისა და იმედების არგაცრუებისა.

4 ივნისი

ყოვლადწმიდა სამება, «ა», დდ, [ს], თ

2023 ჯვირა

გამ 34,4ბ-6.8-9; საგ. დან 3,52-56; 2კორ 13,11-13; იო 3,16-18

ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი იო 3,16

ვხარობთ და ვზეიმობთ დღეს ჩვენი ღმერთის - მამა, ძე და სულიწმიდის გამო! ის სიყვარულის საკრებულოდ გვაცნობს თავს. უფრო მეტიც, თავის სისრულეს გვაზიარებს: ჩვენი შექმნით და გამოხსნით, ეკლესიაში თავისი სულიწმიდის - მშვიდობის, ნდობის, ზიარების წყაროს მონიჭებით. მადლობა, ყოვლადწმიდა სამებავ, ჩემო ოჯახო!

5 ივნისი

2023

რიგითი IX კვირა [I]

წმ. ბონიფაციუსი, ეპ. და წამ., +754, (მ), წ

ორშაბათი

ტობ 1,3; 2,1-8; ფს 111; მარ 12,1-12

მიხვდნენ, რომ მათზე თქვა ეს იგავი მარ 12,12

იგავზე საუბრით, იესომ, მღვდელმთავრები და უხუცესები მიახვედრა, რომ მან უწყოდა, მისი მოკვლის თაობაზე, მათი ზრახვების შესახებ: ეს ჯერ კიდევ საღვთო წერილში იყო ნაწინასწარმეტყველები. ჩვენი ხსნის გამო დაადგება იგი ამ მისტიურ გზას, ყოველივეს მამის ხელებს მიანდობს და სიყვარულად გარდაქმნის კაცთა ხელით აღსრულებულ თავის სიკვდილს. მადლობა იესო, ჩემო მხსნელო!

6

2023

ივნისი

რიგითი IX კვირა [I], მწ

წმ. ნოხბეჩტ, ეპისკოპოსი, +1134

სამშაბათი

ტობ 2,9-14; ფს 111; მარ 12,13-17

გაუკვირდათ მისი მარ 12,17

მადლობა, იესო: ჯვარზე მამისადმი აღ-ვლენილი სამსახვერპლოს შემდეგ, ჩვენც ძალგვიძს შენი განდიდება და შენი უსა-ზღვრო სიყვარულით „მონუსხვა“.

7 ივნისი

რიგითი IX კვირა [I], მწ

2023 ოთხშაბათი

ტობ 3,1-11.16-17; ფს 24; მარ 12,18-27

ღმერთი მკვდრების კი არ არის,
არამედ ცოცხლებისა მარ 12,27

მადლობა, წმიდაო მამაო, რამეთუ მუდამ გულში გყავართ. ასე იესო გვაიმედებს: მუდამჟამს ვიცოცხლებთ შენში. ეს რწმენა გვავსებს სიხარულით, სიმშვიდით, დაცულობით და სიყვარულის სურვილით მაშინაც, როცა ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

8

2023

ივნისი

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს

ხუთშაბათი

რჯლ 8,2-3.14ბ-16ა; ფს 147; 1კორ 10,16-17; იო 6,51-58

ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის მსმელი ჩემში რჩება იო 6,56

იესოს ეს განცხადება, ევქარისტიის გაზიარების სურვილს აღძრავს ჩვენში: სწორედ ვჭამთ მის ხორცს. ეს არის ყოველი წირვის სილამაზე და სიდიადე! არ უნდა ვუყუროთ მას, ვინ არის ან ვინ არა, არ უნდა ვუყუროთ ეკლესიის სილამაზეს, მღვდლის ასაკს: იესოში ყოფნის სურვილი ის ერთადერთი მიზეზია, რაც გვამოძრავებს.

9 ივნისი

2023

რიგითი IX კვირა [I], მწ

(27.V) წმ. ღ. ბასილ ბაგრატ III-ის ძე, XIს;/წმ. ღ. მიქელ პახეხელი, VIII-IXსს/წმ. ეფრემ დიაკ. და ეკ. მოძღ. +373

პარასკევი

ტობ 11,5-18; ფს 145; მარ 12,35-37

როგორ ამბობენ მწიგნობარნი, რომ ქრისტე დავითის ძეა? მარ 12,35

იესო, სახარება შენ ტაძარში ქადაგების წუთებში წარმოგადგენს და დასძენს, რომ ბრბო აღტაცებით გისმენდა. მადლობა, რამეთუ ჩვენც იმავე სიხარულს გვანიჭებს, როდესაც ჩვენი სულიერი მწყემსები, სულიწმიდის მადლით შეგვაგონებენ შენ სიტყვას.

10 ივნისი

2023 შაბათი

ტობ 12,1.5-15.20; გალ. ტობ 13,2.7-8; მარ 12,38-44

მოწყალება სიკვდილისგანაც იხსნის კაცს
და განწმედს ყოველგვარი ცოდვისგან ტობ 12,9

მადლობა, მოწყალეო მამავ, რამეთუ მრავალ გზას გვიჩვენებ ცოდვათაგან განსაწმენდად. მოწყალების გაცემა, თანაზიარება, ერთ-ერთი მათგანია, ვინაიდან ეს უსასყიდლო სიყვარულია; პატარებისა და ღარიბების მიმართ შენი სიყვარულის გაზიარებაა. ამ სიყვარულით გიახლოვდებით და შენს გულში ვიჭრებით.

11

2023

ᲘᲔᲡᲝ

რიგითი X კვირადღე, «ა», [II], მწ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს
უწმიდესი ხორცისა და სისხლის დიდდღესასწაული)

ᲫᲕᲘᲠᲐ

ოს 6, 3-6; ფს 49; რომ 4,18-25; მთ 9,9-13

მართალთა სახმობად როდი
მოვსულვარ მთ 9,12

მადლობა, იესო, რამეთუ შევძელი შენი მოსმენა და განსაცდელის ჟამს ამ სიტყვების თქმა: „დიდება მამასა, ძესა და სულიწმიდას“. თავი იმ მშვენიერი სამეფოს წევრად ვიგრძენი, სადაც მხოლოდ სიყვარული სუფევს. ზოგჯერ, უსიყვარულობის ჟამს, ვგრძნობ, რომ ამ სამეფოს გარეთ ვარ, მაგრამ „არა შორს“, რამეთუ ხელს მიწვდი, რომ მას დავუბრუნდე.

12

ივნისი

2023

რიგითი X კვირა [II], მწ

წმ. გასპარე ბეჰტონი, სტიგმატელთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853, თ

ორშაბათი

2კორ 1,1-7; ფს 33; მთ 5,1-12

სტიგმატელ მამათა დღესასწაული

ნეტარ არიან მოწყალენი მთ 5,7

მოდით, თავიდან გადავიკითხოთ მათეს სახარების ეს სიტყვები. ნეტარ არიან, ანუ ღმერთთან სიახლოვეს არიან ისინი, ვინც გულით ემსახურებიან გაჭირვებულებს. ისინი მამას ჰგვანან, ვინც მათ თავისი სიხარულითა და მშვიდობით აღავსებს.

13 ივნისი

2023

რიგითი X კვირა [II]

წმ. ანტონ პადუელი, ხუც. და ეკლ. მოძღ., +1231, (მ), თ

სამშაბათი

2კორ 1,18–24; ფს 118; მთ 5,13–16

ის, ვინც თქვენთან ერთად გვაფუძნებს ქრისტეში და გვცხო, ღმერთია 2კორ 1,21

ამ საიდუმლოს გვიმხელს წმინდა პავლე. მამა, ვინც ჩვენს სიყვარულს მიანდობს იესოს, ძის სულს გადმოღვრის ჩვენზე. სიტყვა „ცხება“ყოველივე კეთილს, ნაზსა და ძლიერზე საუბრობს. ამ ყოველივეს სულიწმიდა გვანიჭებს თავისი ყოფნით; სულიწმიდას, უწინარესად, სურნელოვანი წმიდა მირონით ვიღებთ ნათლობასა და მირონცხებაში.

14 ივნისი

რიგითი X კვირა [II], მწ

2023 ოთხშაბათი

2კორ 3,4-11; ფს 98; მთ 5,17-19

გასაუქმებლად კი არა,
აღსასრულებლად მოვედი მთ 5,17

ღვთის სიტყვა ძველი აღთქმის დაპირება, სინათლე და ხსნაა. ძე მათ კი არ აუქმებს, პირიქით, უფრო მეტად მიმზიდველს და მტკიცეს ხდის. მისი წყალობით სიტყვა სიცოცხლედ, სიხარულად და მადლად იქცევა. ჩვენც იმის მიხედვით ვიგებთ, გვიყვარს და ვცხოვრობთ, როგორც მან თავად იცხოვრა.

15 ივნისი

2023

რიგითი X კვირა [II], მწ

ხუთშაბათი

2კორ 3,15 4,1.3-6; ფს 84; მთ 5,20-26

სასწრაფოდ დაუზავდი შენს მეტოქეს მთ 5,25

მეტოქესთან დასაზავებლად დათმობაზე უნდა წავიდეთ? არა, ვინაიდან ჭეშმარიტი მეტოქე ვერ იტანს თავმდაბლობას. ჰოდა, ვიყოთ თავმდაბლები და მოწინააღმდეგეც გაგვშორდება.

16 2023

ივნისი

იესოს ღმრთაებრივი გული, «ა», დდ, [ს], თ

პარასკევი

რჯლ 7,6-11; ფს 102; 1იო 4,7-16; მთ 11,25-30

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო. მთ 11,28

მოვდივართ, უფალო იესო: დამაშვრალნი და დათრგუნულნი! ტვირთად გვაწევს და გვამძიმებს ცოდვები, წუთისოფლისა და ჩვენი. შენ ჩვენი საყრდენი და იმედი ხარ, რამეთუ შენ აცოცხლებ და გვანიჭებ მამის სიყვარულს.

17 ივნისი

2023

რიგითი X კვირა [II], მწ

ნეტ. ქალწ. მარიამის უმანკო გული (მ), თ

შაბათი

2კორ 5,14-21; ფს 102; მთ 5,33-37;
(ან, ეს 61,9-11; საგ. 1მეფ 2; ლკ 2,41-51)

სამი დღის შემდეგ იპოვეს ტაძარში ლკ 2,46

მარიამის უმწიკვლო გულმა ყველა ის პირობა გამოიარა, რაშიც დღეს და მუდამ უცხოვრია ეკლესია: ძის არყოფნით გამოწვეული მწუხარება და მისი პოვნის სიხარული, მისი ვნება და აღდგომა. იესოს ტაძრად პოვნის ფაქტი ამ საიდუმლოს წინაპირობაა და მასზე წინასწარმეტყველებს. დავრჩეთ მარიამის სიახლოვეს და მასთან და მის მსგავსად გავძლიერდეთ ჭირში.

18 ივნისი

რიგითი XI კვირადღე, «ა», [III], მწ

2023 კვირა

გამ 19,2-6; ფს 99; რომ 5,6-11; მთ 9,36 10,8

მიტოვებულნი იყვნენ, როგორც
ფმწყემსი ცხვარი მთ 9,36

იესო ცნობს ადამიანთა ტანჯვას. რას ისაკლისებენ? მწყემსის გარეშე დარჩენილ ცხვრებს მიმართულება, წინამძღოლობა, დაცვა, ცხოვრების მოტივაცია აკლიათ. ვინ მისცემს მათ ყოველივე ამას? იესო - სწორედ ის, ვინც თავად არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე! თორმეტის შერჩევით იესო იზრუნებს იმაზე, რომ საუკუნეთა მანძილზე ყველგან წარმოაჩინონ იგი.

19 2023

ივნისი

რიგითი XI კვირა [III], მწ

წმ. ჰომუაღდ, აბატი, +1027

ორშაბათი

2კორ 6,1-10; ფს 97; მთ 5,38-42

შეგვაგონებთ, რომ ფუჭად
არ მიიღოთ ღვთის მადლი 2კორ 6,1

ჩვენში მიღებული ღვთის მადლი დიდ ნა-
ყოფს გამოისხამს. წმ. პავლე მას აღწერს
როგორც სიმტკიცეს – ძნელბედობისა და
დევნის ჟამს, სიხარულს – ტანჯვისას და
სიყვარულის სიუხვეს ყოველ კაცზე.

20 ივნისი

2023 სამშაბათი

2კორ 8,1-9; ფს 145; მთ 5,43-48

გიყვარდეთ თქვენი მტერნი მთ 5,44

ჯეშმარიტად სიახლეა, იესო შენი მცნებანი! შენთვის მტრები არ არსებობენ: მხოლოდ ადამიანები, რომლებსაც უფრო ძლიერი სიყვარული სჭირდებათ, სიყვარული, რაც მათთვის ახალი სიცოცხლის წყალობა იქნება. როდესაც მტერი უყვართ, ის დამარცხებულია, რამეთუ დამარცხებულია მისი მტრობა.
იესო, მიბოძე გამარჯვების უნარი, უწინარესად, ჩემს გრძნობებზე, რათა ამ გზით გავიმარჯვო მტრობაზე.

21 ივნისი

2023

რიგითი XI კვირა [III], მწ

წმ. ალოიზი გონძაგა, ბერი, +1591, (მ), თ

ოთხშაბათი

2კორ 9,6-11; ფს 111; მთ 6,1-6.16-18

თითოეულმა გაიღოს ისე, როგორც გულით განეწყო 2კორ 9,7

იესო მოგვიწოდებს, რომ უშურველად გავცეთ მოწყალება. მხოლოდ მამამ უწყის მისი ნამდვილი მნიშვნელობა. ის ამით ხარობს. ხოლო წმ. პავლე გულუხვ, უანგარო ცხოვრებაში მოგვიწოდებს: დანარჩენზე მამა იზრუნებს.

22 ივნისი

2023

რიგითი XI კვირა [III], მწ

წმ. პავლინ ნოლადან, +431;
წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ., +1535

ხუთშაბათი

2კორ 11,1-11; ფს 110; მთ 6,7-15

მოვიდეს სუფევა შენი მთ 6,10

ეს გამორჩეული ლოცვაა. ჩვენ ვიცნობთ სამეფოს მეფეს, ეს იესოა. ამდენად, სა-მეფო ჩვენ შორისაა, მაგრამ მაინც ვლო-ცულობთ: "მოვიდეს", ვინაიდან სამეფოს ყოველ ჯერზე ესხმება ხორცი, როცა მეფეს ვემორჩილებით. მაშ, სიხარულით ვითხოვოთ მოჩილების მადლი!

23 ივნისი

რიგითი XI კვირა [III], მწ

2023 პარასკევი

2კორ 11,18.21-30; ფს 33; მთ 6,19-23

ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე მთ 6,19

თავის მოტყუებაა იმ განძის დაუნჯება, რისი დატოვებაც შემდეგ მოგვიწევს. იესო გვირჩევს, განძი ზეცაში დავაუნ-ჯოთ, სადაც სამარადჟამოდ გამოგვა-დგება. როგორ დავაუნჯოთ? გაეცი ღატა-კებზე რისი გაცემაც შეგიძლია და რასაც ამქვეყნად ვერ დაიბრუნებ: ყოველივე იმ ღატაკთა მამის გულში აღიბეჭდება.

24 2023

ივნისი

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა, დდ, [ს], თ

შ ა ბ ა თ ი

ეს 49,1-6; ფს 138; საქმ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

ფუცებ გაეხსნა მას ბაგე და ენა ლკ 1,64

ეს ზაქარიაა, იოანე ნათლისმცემლის მოხუცი მამა. ის მაშინ დამუნჯდა, როცა ანგელოზმა გაბრიელმა მამობა აუწყა: ეჭვობს ღმერთის ძალებში. აწ კი, როცა ყრმა იშვა, რწმენა აღზევდება გულში, ბაგე გაეხსნება და აკურთხებს ღმერთს, ვინც თავისი ერის გადასარჩენად მოდის.

25 ივნისი

რიგითი XII კვირადღე, «ა», [IV], მწ

2023 კვირა

იერ 20,10-13; ფს 68; რომ 5,12-15; მთ 10,26-33

ნუ გეშინიათ: ბევრ ბეღურაზე
უკეთესნი ხართ მთ 10,31

რა მშვენიერია როცა იცი, რომ ჩვენ სიცოცხლე მამისთვის ძვირფასია! ვერ დავემალებით და ვერც ვერაფერი დაავიწყებს მას ჩვენს თავს. არაფრის და არავისი შემეშინდება: იესოს ეს მოწოდება ძალას და გამბედაობას მმატებს!

26 ივნისი

2023 ორშაბათი

დაბ 12,1-9; ფს 32; მთ 7,1-5

ჯერ საკუთარი თვალიდან ამოიღე... მთ 7,5

რაოდენ ძნელია მსჯავრზე ხელის აღება! არადა, როდესაც ყველაფერს გავიგებთ, შეგვრცხვება, რომ სხვებზე ცუდი გვიფიქრია ოდესმე. ღმერთიც ხომ მხოლოდ იმიტომ არ განგვსჯის, რომ გვიცნობს ძირის ძირამდე...

27 ივნისი

2023

რიგითი XIII კვირა [I] მწ

წმ. კიჰიღე აღექსანდრიელი, ეპ. და ეკდ. მოძ., +444

სამშაბათი

დაბ 13,2.5-18; ფს 14; მთ 7, 6.12-14

ვიწროა კარიბჭე და რთულია გზა მთ 7,14

იესო, შენ გვიხმობ, რომ სირთულის მიუხედავად, ვიწრო კარით გავიაროთ. შენ თავად გაიარე ვიწრო კარით, იქ, სადაც გველოდები: შენი ჯვრით. ეს კარი არ გვკლავს, პირიქით, სიცოცხლით გვავსებს, იმ სიცოცხლით, რითაც შენ ცხოვრობ მამასთან.

28 ივნისი

2023

რიგითი XIII კვირა [I]

წმ. ირენეოსი, ეპ. და წამ., +~202, (მ), წ

ოთხშაბათი

დაბ 15,1-12.17-18; ფს 104; მთ 7,15-20

ყოველ ხეს, რომელსაც კარგი ნაყოფი არ მოაქვს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ მთ 7,19

იესოს მოწაფეების გაფრთხილება სურს, ვინაიდან მოჩვენებითი სიკეთით გატაცების საფრთხე მუდამ არსებობს. არიან ცრუწინასწარმეტყველები, ისინი, რომლებიც საუბრობენ ღმერთზე, მაგრამ არ ცხოვრობენ მასთან და მის მორჩილებაში. ნაყოფით შეიცნობა ჭეშმარიტება. კეთილი ნაყოფია იესოზე თავშეწირვა, მასთან მიახლოება, ცუდი ნაყოფი კი მათი საქმეა, ვინც მას უგულებელყოფს ან შორდება.

29 ივნისი

წმ. პეტრე და პავლე მოციქულნი დდ, [ს], ნ

2023 ხუთშაბათი

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

ენა ხარ ქრისტე, მე
ცოცხალი ღმერთისა მთ 16,16

რწმენის ამ აღსარებაში იმ ხალხის ლოცვა და იმედია ჩასახული, ვინც საუკუნეების მანძილზე ელოდა თავის მხსნელს. ეს არის რწმენა, რომელიც პეტრეს ცხოვრებას გარდასახავს, დიდი წვალების ფასად! სწორედ ეს რწმენა გაუნათებს გონებას პავლეს; იგი დღესაც გვეხმარება თავის ნაწერებით, რათა ახლებურად გავიაზროთ მათი არსი იმ გარემოებებში, რაშიც ეკლესიას უწევს ცხოვრება.

30 ივნისი

2023

რიგითი XIII კვირა [I], მწ

წმ. შაღვა ახაღციხელი, +1227;
ხომის ეკღესიის წმიდა პიხვეღმოწამენი, +64

პარასკევი

დაბ 17,1.9-10.15-22; ფს 127; მთ 8,1-4

მინდა: განიწმინდე მთ 8,3

ამ სიტყვებით მიუგებს იესო მის მსასო-
ებელ კეთროვანს: „უფალო, თუ გსურს,
შეგიძლია განმწმინდო“.
იესოს ნება იგივე მამის ნებაა, ვისაც
ყოველი კაცის გამოხსნა სწადია, რათა
ადიდონ, აკურთხონ და მიბაძონ მას
სიყვარულში. აწ, ყველასგან გარიყული
კეთროვანი, თავისი რწმენის წყალობით
შეიყვარა თავად იესომ და ღმერთმა.